25.04.2014 წელი

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თოთხმეტი წლის ოცდახუთ აპრილს, მე ერთობლივი საქმიანობისა და ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა "ბროსეს 8"-ს თავმჯდომარე გიორგი თაბაგარი (დაბ: 08.04.1977 წელს, პირადი № 01024002934, მისამართი: ქ.თბილისი, ლარსის შეს № 3) ამ მინდობილობით ვენდობი უჩა ქირიას (დაბ: 12.04.1980წელს, პირადი № 58001002354) რათა იგი იყოს ჩემი როგორც იმა "ბროსეს 8"-ს (საგადასახადო კოდი 204540489 რეგისტრაციის თარიღი 08.10.2007 წელი, მარეგისტრირებელი ორგანო: თბილისის საგადასახადო ონსპექცია, მისამართი: საქართველო, თბილისი ბროსეს 6-დან ბროსეს 8-მდე) თავმჯდომარის წარმომადგენელი და სრულად ისარგებლოს იმ უფლებემოსილებებით, რომლითაც ვსარგებლობ მე როგორც ამხანაგობა "ბროსეს 8"-ს თავმჯდომარე, კანონმდებლობით და ამხანაგობის წევრთა ხელშეკრულების საფუძველზე, მათ შორის იყოს წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებში, ამხანაგობებში, შემოსავლების სამსახურში, გამგეობაში, მუნიციპალურ ორგანოსთან, საქართველოში არსებულ ნებისმიერ ბანკებში (იყოს პირველადი ხელმომწერი,მართოს და განკარგოს ანგარიშები, გამოიტანოს და შეიტანოს თანხები, აწარმოოს გადარიცხვები, მიიღოს ინფორმაცია, ამონაწერები, ხელი მოაწეროს ბანკში წარსადგენ დოკუმენტებს, ისარგებლოს ნებისმიერი საბანკო პროდუქტით, საჭიროების შემთხვევაში გახსნას იმა-ს სახელით ახალი ანგარიშები მართვისა და განკარგვის უფლებით) თვითმმართველობის ორგანოებში, იუსტიციის სამინისტროს საჯარო და სამეწარმეო რეესტრში, ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში, (შეიტანოს სარჩელი შესაგებელი, განცხადება, საჩივარი, მიიღოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და სააღსრულებლო ფურცელი, დაამთავროს საქმე მორიგებით, უარი თქვას სარჩელზე) სახელმწიფო რეგისტრაციის განმახორციელებელ ორგანოებში, არქივში, მერიაში, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, აწარმოოს მოლაპარაკებები ფიზიკურ და იურიდიულო პირებთან, შეათანხმოს პროექტები, შეკრიბოს დოკუმენტაცია, უზრუნველყოს განაწილებული ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ორგანიზება, აიღოს სესხი და მის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთოს ამხანაგობის წევრთა სააერთო საკუთრებაში არსებული ქონება, აწარმოოს საფინანსო-საბუღალტრო საქმიანობა, მოიწვიოს კრება, დაესწროს ამხანაგობის წევრთა საერთო კრებას ხმის მიცემის უფლებით, მიიღოს გადაწყვეტილებები, ხელი მოაწეროს ოქმს, შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება იმა-ს ხელშეკრულებით (ერთობლივი საქმიანობისა და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა "ბროსეს 8"-ს დაფუძნების შესახებ ხელშეკრულება, დამოწმებულის ნოტარიუს პაპუნა შენგელაიას მიერ, რეგისტრირებულია რეესტრში 1-2327) გათვალისწინებული საქმიანობის წარმართვისათვის მაგრამ პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში. დადოს ნებისმიერი შინაარსის გარიგება, მათ შორის: ნასყიდობის, ნარდობის, შრომითი, იჯარის, ქირავნობის.

მინდობილობა გაცემულია განსაზღვრული ვადით – ერთი (1) წლის ვადით, მესამე პირზე გადანდობის უფლებით.

მინდობილობის გამცემი: გიორგი თაბაგარი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140399742
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.04.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	მინდობილობაზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო მათუაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 38 36 32 591 70 99 74
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	71848541319014

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას თოთხმეტი წლის ოცდახუთ აპრილს მე, საქართველოს ნოტარიუს ნინო მათუაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №10 მომმართა: **გიორგი თაბაგარმა(დაბ: 08.04.1977 წელს, პირადი № 01024002934, მისამართი: ქ.თბილისი, ლარსის შეს № 3)** რომელმაც წარმოადგინა მინდობილობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ზ/აღნიშნულმა პირმა მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას. ხელმომწერ პირს განვუმარტე დოკუმენტზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე განვუმარტე რომ, მე ვადასტურებ მისი ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ დოკუმენტის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგზე. მან განაცხადა რომ მინდობილობის ტექსტი მისთვის ცნობილია და იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას რის შემდგომაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას. მინდობილობაზე ხელმოწერა შესრულებულია ერთ გვერდზე და გაცემულია ხუთ ეგზემპლარად

გადახდილია სახელმწიფო ნოტარიუსთა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს მთავრობის 507 დადგენილების (29.12.2011წ) 31-ე მუხლის თანახმად – ათი ლარი, აგრეთვე დღგ 1.80 ლარი - თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე + ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის ორი ლარი დღგ-ს ჩათვლით თანახმად საქართველოს მთავრობის 507 დადგენილების 39-ე მუხლის 1 პ თანახმად.

ნოტარიუსი: ნინო მათუაშვილი